ბავშვიანი ოჯახების გაძლიერება.

პროგრამის მართვა:

ქვეპროგრამით სარგებლობა შეუძლიათ: ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვიან ოჯახებს, რომლებიც იმყოფებიან კრიზისულ ვითარებაში და/ან საჭიროებენ დახმარებას.

პროგრამაში ოჯახის ჩართვა შეიძლება განხორციელდეს მოქალაქის, მერის წარმომადგენლის, სოციალური მუშაკის ან სხვა უწყების მომართვის საფუძველზე.

ბავშვიანი ოჯახის შეფასებას და საჭიროებების დადგენას უზრუნველყოფს ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი.

სოციალური მუშაკის შეფასება და დასკვნა/რეკომენდაცია განიხილება ,,მერიის სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისიის“ მიერ და მიიღება გადაწყვეტილება ბავშვიანი ოჯახისათვის საჭირო დახმარების აღმოჩენის თაობაზე.

აღნიშნული ქვეპროგრამიდან თითოეულ ოჯახზე გასაცემი თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3000 ლარს. გასაცემი თანხის ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს ,,სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია".

პროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია, კრიზისულ ვითარებაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების იდენტიფიცირება, მათი ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური აქტივაციის მდგრადი განვითარება.